

შეჯიბრის წესები

- 1. მონაწილეთა კვალიფიკაცია და ასაკი**
შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვინც არის
 - სრულწლოვანი (18+ წლის)
 - იმყოფება კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში
 - არ გააჩნია ისეთი სამედიცინო ისტორია, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ან ხელს შეუშლის ღონისძიებაში მის მონაწილეობას
- 2. შეჯიბრის ტიპი**
 - ინდივიდუალური
- 3. შეჯიბრის ჩატარების თარიღი და დრო**
 - 2021 წლის 24 აპრილი
 - 09:00-15:00
- 4. შეჯიბრის ადგილი**
 - გერგეტის სამების პარკინგი - სასტუმრო ალტიჰატი
- 5. მარშრუტის ვიზუალი, ვერტიკალური პროფილი და ფაილი**
ზუსტი მარშრუტი დადგინდება შეჯიბრამდე ერთი თვით ადრე
- 6. მარშრუტის მოკლე აღწერა**
მარშრუტი იწყება გერგეტის სამების პარკინგზე და მიუყვება წინასწარ გაკვალულ და მონიშნულ „სამხრეთის“ ბილიკს საბერწეს უღელტეხილისკენ, საიდანაც იწყება მყინვარწვერის და გერგეტის მყინვარის ულამაზესი ხედები და ჩანს თვით ფინიშის ლოკაცია - სასტუმრო ალტიჰატი. ზღვის დონიდან 3,600 მეტრზე ასვლის შემდეგ, თქვენ გელოდებით დაშვება 3,014 მეტრზე მდებარე სასტუმრო ალტიჰატამდე, სადაც მოწყობილია ფინიში და მონაწილეებისთვის სასიამოვნო გარემო.
- 7. მარშრუტის მარკირება**
 - მარშრუტი მთლიანად იქნება მარკირებული ადვილად შესამჩნევ ნიშნებით. ამის მიუხედავად, სასურველია მონაწილეებმა წინასწარ კარგად შეისწავლონ მარშრუტი და თან იქონიონ ციფრული სახით (ელექტონული ვერსია) საათის ან სმარტფონის მეშვეობით. 500 მეტრის გავლის შემთხვევაში, თუ არ შეგხვდათ მარკირების ნიშანი, სავარაუდოდ არ იმყოფებით სწორ მარშრუტზე. ამ შემთხვევაში დაბრუნდით უკან, სანამ არ შეგხვდებათ შესაბამისი

Race rules and Regulations,,

- 1. Participants minimal requirements:**
Kazbegi Trophy is open for all willing athletes who meet certain criteria:
 - Adult (18+ y/o)
 - Is in good physical condition
 - His / Her medical history does not include health complications that will have a negative effect on his/her performance during the race.
- 2. Competition Type**
 - Individual
- 3. Date and Time**
 - April 24, 2021
 - 09:00 AM -15:00 PM
- 4. Geography**
 - Stepantsminda, Kazbegi. Gergeti Trinity Church parking lot – Mountain hut Altihut
- 5. Elevation Plot, GPX file.**
All sections of the course are subject to change because of snow, avalanche danger, rock fall hazard, etc. The route of the race will be communicated 1 month prior to the race.
- 6. Course Short Description**
The course starts at Gergeti Trinity Church parking lot and follows the marked skin track to Sabertse Pass. After reaching the top of the pass participants will witness magnificent views on Mt Kazbegi and Gergeti Glacier. The highest point of the course is at 3,600 masl, after which it descends to the finish line at 3,014 masl at hotel Altihut
- 7. Course Marking**
 - The entire route will be marked with readily visible flags and tapes. Nonetheless, it is our recommendation to explore the route beforehand and have a copy of the route in your gadgets (smartphone, sports watch or other GPS navigators)
In case, when the marking is not visible for at least 500m stretch, the participant has most likely lost the path. If you believe at any time that you may not be on the correct route, **do not attempt to find your way.** Backtrack to where you last saw a route marker and try to

ნიშანი ან დაუკავშირდით
ორგანიზატორებს (შეჯიბრის წინ
გამოცხადდება სამაშველო და
საინფორმაციო ნომრები)

8. საკონტროლო პუნქტები

სტარტის და ფინიშის გარდა, მონაწილეებმა
უნდა გაიარონ ორი საკონტროლო პუნქტი,
რომელიც 5.1 რუკაზე აღნიშნულია B და C
ასოებით.

- B პუნქტში, რომელიც მდებარეობს
საბერწის უღელტეხილზე
(კოორდინატები), მონაწილეები უნდა
მივიდნენ სტარტიდან არაუგვიანეს 3
(სამი) საათში. დაგვიანების შემთხვევაში,
ისინი ვერ შეძლებენ C პუნქტისკენ სვლის
გაგრძელებას და გაემართებიან პირდაპირ
ფინიშისკენ.
- C პუნქტი წარმოადგენს (კოორდინატები,
3,600 მ) შეჯიბრის უმაღლეს წერტილს,
სადაც სრულდება ვერტიკალური ასვლა
და იწყება დაშვება ფინიშისკენ. აღნიშნულ
ადგილას შეჯიბრის მთელი განმავლობაში
იმუშავებს დამხმარე ჯგუფი.

9. დროითი ლიმიტები

მონაწილეებს დისტანციის დასაფარად
სტარტიდან ფინიშის გადაკვეთამდე ეძლევათ
5 (ხუთი) საათი, ამასთან სტარტიდან B
პუნქტში მისასვლელად 3 (სამი) საათი.
დროითი ლიმიტები შეიძლება შეიცვალოს
ამინდის და თოვლის საფარის
მდგომარეობიდან გამომდინარე და
მონაწილეებს შევატყობინებთ წინასწარ

10. კვების პუნქტი

შეჯიბრის ერთადერთი კვების ადგილი
განთავსებულია B პუნქტში, სადაც
მონაწილეებს დახვდებათ ხილი და სასმელი.

11. სავალდებულო აღჭურვილობა

ყველა მონაწილეს შეჯიბრის მთელი
ხანგრძლივობის განმავლობაში უცილებლად
უნდა ჰქონდეს შემდეგი აღჭურვილობა:

- სკიტურის თხილამური
- სკიტურის ჩექმა
- ქამუსი

find other markers showing the direction of the
correct route. If you are unable to find your
way, stay where you are and contact the
organizers.

The emergency / rescue team contact numbers
will be announced before the competition.

8. Check points

Together with Start and Finish lines, the
participants are required to check-in at two
checkpoints which are identified as **B** and **C** on the
map (5.1)

- Checkpoint B is located on the Sabertse Pass.
Participants are required to check-in before the
designated cut off time. Failing to meet the cut-
off time will result in disqualification.
- Checkpoint C at 3,600masl is the highest point
of the race after which the course descends to
the finish line at Altihut

9. Cut-Off Times

Participants of Kazbegi Trophy must finish the
course under **5 hrs.** and check-in at Checkpoint B
not later than in **3 hrs** from the start.

Cut-off times are subject to changes because of
weather, snow conditions or other occurrences.
Any changes will be announced beforehand. It is
the participants responsibility to understand and
follow the changes.

10. Refreshment points

The **only** refreshment point will be provided at
Checkpoint B, where the participants can refuel
with water and various snacks

11. Mandatory Equipment

Every participant is obliged to carry following
mandatory equipment alongside the whole route
during the competition:

- Ski touring skis
- Ski touring boots
- Climbing skins
- Skiing or mountaineering helmet (UIAA 106)

- სათხილამურო ან სამთო ჩაფხუტი UIAA 106 ნორმა
- სათხილამურო ჯოხები
- სათხილამურო ხელთათმანი
- ზვავში საძებნი ინსტრუმენტი (ბიპერი, ტრანსივერი)
- ზვავის ნიჩაბი
- ზვავის ზონდი მინიმუმ 2.4 მ.
- ზურგჩანთა თხილამურის დამაგრების საშუალებით
- მობილური ტელეფონი
- შუბლის ნათურა

12. ჯარიმები და დისკვალიფიკაცია

ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მონაწილეებს წესების დარღვევისთვის დააკისროს დროითი ჯარიმა (5 წუთამდე) ან უხეში დარღვევისთვის, მოახდინოს მათი დისკვალიფიკაცია [ISMF-ის რეგლამენტის შესაბამისად](#) მაგალითად :

- მონაწილეს საკონტროლო პუნქტთან და ფინიშზე არ აქვს სრულად აღჭურვილობა
- მესამე პირების მიერ ნებისმიერი დახმარება (გამონაკლისი ჯოხის გატეხვა)
- მარკირებული გზიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია მარშრუტის მანძილის შემცირება ან დროს დაზოგვა
- ჩეკპოინტზე მითითებების შეუსრულებლობა
- არასპორტული საქციელი
- გარემოს დაბინძურება

13. მონაწილეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

- ყველა მონაწილე ვალდებულია დაესწროს და ყურადღებით მოუსმინოს შეჯიბრის წინა ბრიფინგს და უსაფრთხოების ნორმების დაცვის ინსტრუქციებს
- ტრანზიციები (სიარულიდან სრიალის რეჟიმში გადასვლა) უნდა მოხდეს მონიშნულ ადგილას
- ადგილებში, სადაც ფეხით გვიწევს გადაადგილება, თხილამური აუცილებლად ზურგჩანთაზე უნდა იყოს მიმაგრებული
- ტრანზიციის მომენტში ჯოხები ძირს უნდა დავაწყოთ, რათა თავიდან ავიცილოთ სხვა მონაწილის ტრავმირება

- Skiing poles
- Skiing gloves
- Avalanche transceiver/beeper (3m antenna)
- Snow Shovel
- Avalanche probe (2.4m)
- Skiing backpack
- Fully Charged Mobile phone
- Headlamp

12. Sanctions and Disqualification

The organizer keeps the full rights to penalize the participant (up to 5 mins) for minor breach of rules & regulations or immediately disqualify for major infringements cited in [ISMF Sporting Rules & Regulations](#) such as:

- A Participant fails to provide mandatory equipment at the checkpoint
- Participants must complete the course under their own power. No physical or mechanical aid is allowed (exception: breaking the skiing poles)
- Participants must follow the marked route all the time. Cutting switchbacks or taking other shortcuts is not permitted.
- A participant must follow the organizer instructions at checkpoints
- Unsportsmanlike behaviour
- Littering!

13. Participant responsibilities

- Every participant must attend the pre-race briefing and listen attentively to safety instructions.
- Transitions (from hiking to skiing or vice versa) must be done in specified locations
- During hiking the skis must be attached to the backpack
- During transition skiing poles must be placed on the ground to avoid injuring other participants
- Skiing skins must be placed in the backpack or on the clothes.
- After the checking participants must leave the checkpoint ASAP to avoid overcrowding.
- No aid is allowed from 3rd party (gear, food, etc.) except when there's an emergency. The

- ქამუსი აუცილებლად უნდა შევინახოთ ზურგჩანთაში ან ტანსაცმელში
- ყველა მონაწილე ვალდებულია, მოთხოვნისას 'გზა', კვალი დაუთმოს გადასწრების მსურველ მონაწილეს
- ყველა მონაწილე ვალდებულია დახმარება გაუწიოს სხვა მონაწილეს, თუ ის ამას საჭიროებს (და უკვე მას სხვამ არ აღმოუჩინა დახმარება)
- მონაწილემ დაფიქსირების შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს საკონტროლო პუნქტი
- მესამე პირების მიერ დახმარება (აღჭურვილობა, საჭმელი, სხვა) დაუშვებელია, თუ მონაწილე საგანგებო ვითარებაში არ იმყოფება. საგანგებო ვითარების დროს ორგანიზატორები უნდა იყვნენ ინფორმირებულები
- მონაწილე ვალდებულია შეატყობინოს ორგანიზატორებს, თუ ეთიშება ასპარეზობას. სხვა შემთხვევაში მისი ძებნისა თუ სამაშველო ოპერაციის ღირებულება მას დაეკისრება

14. მონაწილეთა დაზღვევა

- შეჯიბრის ყველა მონაწილე დაზღვეულია უბედური შემთხვევისაგან (Group personal Accident Insurance) სადაზღვევო კომპანია ირაოს მიერ 10,000ლ ლიმიტის ფარგლებში
- დაზღვევა ვრცელდება მონაწილეებზე სტარტის მომენტიდან ფინიშის ხაზის გადაკვეთამდე ან დროითი ლიმიტის ამოწურვამდე
- მონაწილის მიერ შეჯიბრის წესების დარღვევა ავტომატურად იწვევს დაზღვევის გაუქმებას

15. სხვა პირობები

ბილეთის შეძენის შემთხვევაში, ყველა მონაწილე ადასტურებს, რომ

- იმყოფება კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში
- არ გააჩნია ისეთი სამედიცინო ისტორია, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ან ხელს შეუშლის ღონისძიებაში მის მონაწილეობას
- გააზრებული აქვს, რომ შეჯიბრი მოითხოვს ფიზიკურ აქტივობას და არსებობს დაზიანების მიღების რისკი
- ორგანიზატორები არ იღებენ პასუხისმგებლობას მონაწილის შესაძლო

organizers must be informed in case of emergency

- Participants must inform the organizers in case of dropping out. Otherwise cost of search and rescue operation will be on the participant side.

14. Mandatory Insurance

- Every participant will be provided insurance for the accidents by insurance company IRAO with a limit of 10,000 GEL. Insurance fee is included in the ticket price.
- The insurance is effective from the start until crossing the finish line or cut-off time.
- Violating the hereby described rules and regulations by the participant will result in terminating of the insurance.

15. Other

Upon the registration, the participant agrees on the following points:

- I confirm that I am in good shape, health, and condition
- I don't have any medical condition or medical history that will affect my participation in this event.
- I acknowledge that this event requires physical activity and there are possible risks of injury or another hazard.
- I release the event organizers for any responsibility in case of an accident, illness, or injury.

დაზიანებაზე ან სხვა სახის ჯანმთელობის გაუარესებაზე

- თანახმაა, ღონისძიების დროს გადაღებული მისი ფოტოები გამოყენებულ იქნეს ღონისძიების სარეკლამო მიზნებისთვის
- მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უტყუარია
- უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში არ იმყოფებოდა საზღვარგარეთ (ან უნდა წარადგინოს ნეგატიური PCR ტესტი)
- უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში არ ჰქონდა კონტაქტი საზღვარგარეთ მყოფ პირთან (ან უნდა წარადგინოს ნეგატიური PCR ტესტი)
- არ აქვს რესპირატორული სიმპტომები (ხველა, სურდო, ა.შ)
- დაიცავს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულ ყველა რეკომენდაციას (ჰიგიენის და დისტანციის დაცვა და ა.შ)

დაიცავს შეჯიბრის წესებს, არ ჩაიდენს არასპორტულ საქციელს და არ დააბინძურებს გარემოს

- I allow my photo to be taken during the event and used for event advertising and marketing.
 - I confirm that, I have not travelled outside Georgia for the last 8 days (or present a negative PCR test)
 - I confirm that I'm showing no respiratory infection symptoms such as sore throat, cough, body aches etc.
 - We expect all athletes to abide by all health advisements and restrictions set by the Ministry of Health and National Center for Disease Control and Public Health (Keeping the hygiene, keeping at least 2m distance etc.)
- I confirm that all information in this registration form is accurate and true.